ხელშეკრულება №07/030

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2014 წლის 09 ივლისი ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** (მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **დავით აფრასიძის** სახით (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად") და მეორეს მხრივ სს **„გუდვილი"** (მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის №1) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ბესიკ ჯიქურაულის** სახით (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველს საკუთრებაში ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებულ საქონელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი იღებს აღნიშნულ საქონელს და ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

1.2. მიწოდების საგანია დანართი № -ით გათვალისწინებული სხვადასხვა საკვები პროდუქტები (შემდგომში "საქონლად" წოდებული) (CPV158000000).

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 30 სექტემბრამდე.

3. საქონლის მიწოდების წესი და ადგილი

3.1. შესყიდული საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს "შემსყიდველი" მხარე საკუთარი ხარჯებით ქ.თბილისში, ბოტანიკურის №1-ში.

3.2. საქონლის მიწოდება ხდება ერთიანად, ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით არაუგვიანეს 2014 წლის 31 ივლისისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებლის ვალდებულებები:

4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

4.1.2. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი;

4.1.3. თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს ნივთი თავისი ხარჯით.

4.2. შემსყიდველის ვალდებულებები:

4.2.1. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

4.2.2. მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მისი დასახელების, რაოდენობის და ხარისხის შესაბამისობა ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით შეთანხმებულ საქონელთან.

4.2.3. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით, მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ფასი და ანგარიშსწორების წესი

5.1. ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მოცემული საქონლის ერთეულის ღირებულებები მოცემულია დანართი №1-ში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **889,63** (რვაას ოთხმოცდაცხრა ლარი და 63 თეთრი) ლარი.

5.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5.4. საქონლის საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით საქონლის მოწოდებიდან და შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება ევალება ბოტანიკის ინსტიტუტის შესყიდვების მენეჯერს – დავით ნიკოლაიშვილს (პირადი №01017003075).

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

7.2. სასაქონლო ზედნადებზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს ბოტანიკის ინსტიტუტის შესყიდვების მენეჯერს – დავით ნიკოლაიშვილს (პირადი №01017003075).

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ს ოდენობით.

9.4 მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

10.2 ამ ხელშეკრულების 10.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

10.3 გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 10.1. 10.2. და 10.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისიწნებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13.2 იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შემლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი - შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სს „გუდვილი“
მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5	ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის №1
ს/კ: 204861970	ს/კ: 206343991
სს „ბაზისბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა №GE76BS0000000000134789	ა/ა №GE61TB3615336020100004
დავით აფრასიძე	**ბესიკ ჯიქურაული**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	გენერალური დირექტორი

დანართი N 1

№	საქონლის დასახელება	ზ.	რაოდენობა	ფასი (ლ)	თანხა
1	ELLEDI ვაფლის თხილით 250გრ. CPV(158 000 00)	ც	2	7.25	14.50
2	ELLEDI ვაფლი ვანილით	ც	1	7.25	7.25
3	ELLEDI კაკაოს ნამცხვარი 250გრ.	ც	2	7.25	14.50
4	ELLEDI ვაფლი ვანილით150გრ.	ც	2	3.90	7.80
5	ELLEDI ვაფლი ვანილით150გრ.	ც	1	8.64	8.64
6	ELLEDI ვაფლი თხილით.	ც	2	3.90	7.80
7	ELLEDI ვაფლი კაკაოს კრემით	ც	2	3.90	7.80
8	ქინდერ დელისი T.10X14	ც	20	0.98	19.60
9	პოსიდელკინო შვრიის ნამცხვარი 320გრ.	ც	4	4.10	16.40
10	ორცხობილა მულინელი კაკაო 300გრ.	ც	2	3.25	6.50
11	დანიური ნამცხვარის ასორტი 454გრ.	ც	1	13.45	13.45
12	დანიური კარაქის ნამცხვარი 454გრ.	ც	1	14.80	14.80
13	კექსი კარაქით	ც	4	14.95	59.80
14	დანიური ნამცხვრის ნაკრები454გრ.	მ	1	13.45	13.45
15	დანიური კარაქის დაშოკოლად. ნამცხვარი454გრ.	ც	1	13.45	13.45
16	დანიური კარაქის ნამცხვარი454გრ.	ც	1	14.80	14.80
17	დანიური კარაქის ნამცხვარი454გრ.	ც	1	13.45	13.45
18	ხრაშუნა პური	ც	17	3.60	61.20
19	ხრაშუნა პური	ც	7	3.60	25.20
20	ხრაშუნა პური	ც	1	3.60	3.60
21	მწვანე ჩაი ''იავა'' 25ც. CPV(158 630 00)	ც	6	5.35	32.10
22	ჩაი ''უელსის პრინცი'' 25ც.	ც	1	5.35	5.35
23	ჩაი ასორტი 5 გემო 25ც.	ც	5	5.35	26.75
24	ჩაი ინდური	ც	1	24.97	24.97
25	ჩაი ირლანდ ბრექფასთ 100გრ.	ც	1	2.75	2.75
26	ჩაი შავი	ც	1	24.87	24.87
27	ჩაი შავი უკონვერტო 25პ.	ც	1	2.50	2.50
28	ჩაი სპეციალური(100*20გრ.)	ც	1	9.45	9.45
29	ჩაი შავი ცეილონის	ც	1	3.45	3.45
30	ჩაი შავი უკონვერტო 25პ.	ც	3	2.50	7.50
31	ჩაი შავი	ც	1	6.90	6.90
32	ყავა კოლუმბია მედელინი 280გრ. CPV(158 610 00)	ც	2	19.20	38.40
33	ყავა ხსნადი კოლუმბია მედელინი 95გრ.	ც	5	8.80	44.00
34	ყავა ხსნადი გრანულები გვატემალა ატიტლან 95გრ.	ც	2	9.70	19.40
35	ყავა მილიკანო 0.95გრ.	ც	4	11.35	45.40
36	ხსნადი ყავა 200გრ.	ც	6	35.90	215.40
37	პასკა.	ც	2	6.50	13.00
38	შაქარი 1კგ. CPV(158 310 00)	ც	10	1.67	16.70

39	ორცხობილა (ტირამისუსთვის)	CPV(158 211 50)	ც	1	6.75	6.75

889,63

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

„გუდვილი“
გენერალური დირექტორი

დავით აფრასიძე

ზესიკ ჯიქურაული.